საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000033227158921

№ 02-3-R

28 / იანვარი / 2021 წ.

ბრძანება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში არსებული სასწავლო რესურსების ანალიზისა და საჭირო რესურსების დაგეგმვისთვის კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში არსებული სასწავლო რესურსების ანალიზისა და საჭირო რესურსების დაგეგმვისთვის კომისია შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით:

ა) მარიკა ნადარეიშვილი - სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
ბ) მარინა ქავთარაძე - მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
გ) გვანცა ღვინჯილია - მუსიკის ისტორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
დ) ნინო ჟვანია - სპეც. ფორტეპიანოს მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
ე) ეკატერინე ონიანი - მუსიკის თეორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
ვ) მაია მეტრეველი - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
ზ) მაია სიგუა - მუსიკის ისტორიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი;

2. კომისია ვალდებულია 1 (ერთი) თვის ვადაში შესრულებული სამუშაოს ანგარიში წარუდგინოს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორს;

3. დაევალოს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს წინამდებარე ბრძანების დაგზავნა კომისიის წევრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 6) 1 (ერთი) თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
ელექტრონულია